

ლევან კოჭლამაშავილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო
Levan.Kochlamazashvili285@hum.tsu.edu.ge

ჯვარ- ფუძე ქართულ გეოგრაფიულ სახელებში¹

ადრეც მიმსჯელია გეოგრაფიული სახელის მნიშვნელოვნების შესახებ ენის ისტორიისათვის, თუ რამდენად ასახავს სხვადასხვა იერარქიულ დონეზე განხორციელებულ დიაქრონიულ ცვლილებებს, რომელთაც გადაფარავს სინქრონიულად დაწინაურებული სხვა პროცესი, ხოლო მიღებული შედეგი თითქოს კარგავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს წინარე ვითარებასთან, ყოველ შემთხვევაში მკაფიოდ არ ჩანს მომხდარი გარდაქმნა. ონომასტიკური ერთეულის ამგვარ ხასიათს, სავარაუდოდ, ლექსიკური ფონდის ისტორიული ცვლა იწვევს და ამის მიზეზი ამა თუ იმ სიტყვის (resp. ფუძის) ლექსიკურ-სემანტიკური ღირებულების მოშლა უნდა იყოს.

ჯვარ- ფუძე ქართული ლექსიკური ფონდის იმ ერთეულთა რიცხვს განეკუთვნება, რომელსაც ისტორიის განმავლობაში ნაწილობრივ დაუკარგავს ღირებულება და თავს ნაკლებად იჩენს თანამედროვე სამწერლობო ენასა თუ ცოცხალ მეტყველებაში. თანმხლებ ფონეტიკურ პროცესებთან ერთად მისი ლექსიკოლოგიური ნიველირება უნდა გამოეწვიოს ჰომონიმის, რომელიც, სავარაუდოდ, გარე ენობრივმა ფაქტორმა განაპირობა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ პოლისემიური ფუძის ერთ-ერთი ახსნა გახლავთ: „ქრისტიანული კულტის სიმბოლო – ღერო, რომელზედაც პერპენდიკულარულად არის გადაჭდობილი მეორე, უფრო მოკლე ღერო...“². აქვე განიმარტება გვერდითი მომიჯნავე მნიშვნელობაც, რაც ახლავს როგორც დამოუკიდებელი, ისე კომპონენტური რეალიზაციის ფარგლებში სხვადასხვა აგებულების კომპოზიტში.

ჯვარ- ფუძის კომპონენტური რეალიზაცია საკმაოდ ხშირია კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში; მაგალითად, გარე-ჯვარ-ი

1 ნაშრომი მომზადდა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საპილოტე პროგრამა „ქართული ენის ეტიმოლოგიურ მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში.

2 ქეგლ VIII, 1530-1531; იხ. აგრეთვე Гониашвили 1937, 113-115.

(ქართლი), გორი-ჯვარ-ი (ქართლი), ვაკი-ჯვარ-ი (გურია), ვაშლი-ჯვარ-ი (თბილისი), კეხი-ჯვარ-ი (ქართლი), მარიამ-ჯვარ-ი (კახეთი), მცხეთი(ს)-ჯვარ-ი (ქართლი), მჭად-ი-ჯვარ-ი (ქართლი), ციხის-ჯვარ-ი (თორი), ცხრა-ჯვარ-ი (ოკრიბა), ძლევი-ჯვარ-ი (ქართლი), ხეი-ჯვარ-ი (<წვევიჯვარი<*წვევისჯვარი) (ზემო იმერეთი), ჯვარ-ბოსელი (თუშეთი), ჯვარ-ი-ქეთი (აჭარა), ჯვარ-ის-გორ-ა (ლეჩხუმი)¹, ჯვრ-ის-ხევი (ქართლი)... ჩამოთვლილ ტოპონიმთაგან ზოგიერთი ნამდვილად შეიცავს ჯვარ- სარწმუნოებრივი კულტის აღმნიშვნელ ფუძეს, მაგალითად, მცხეთი(ს)ჯვარი, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა შემთხვევაში ეს გარემოება არ უნდა იკვეთებოდეს.

დაისმის საკითხი ჯვარ- პოლისემიური ფუძის სხვაგვარი მნიშვნელობის დადგენისა ქართულში, რაც არ იკვეთება სამწერლობო ენასა თუ დიალექტებში.

ყურადღებას იქცევს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დამონებული ჟურ-ი „წვეთის“ აღმნიშვნელი სახელური ძირ-ფუძე². აქვეა წარმოდგენილი მისგან ნაწარმოები ზმნის პირიანი და მასდარული ფორმებიც: ჟურ-ავ-ს, ჟურ-ვ-ა, რაც განიმარტება „წურვის, წრეთის, წვეთ-წვეთად დენის“ მნიშვნელობით³. ეგვე სიტყვა სხვადასხვა კილო-თქმაშიც გვხვდება: კახურში⁴, ქვემოიმერულში⁵, ქიზიურში⁶... სამწერლობო ენას მოეპოვება ჟურ-ვ-ა ნასახელარი ზმნის ზედსართაული დერივაციაც: ნა-ჟურ-ი „ნაწური, გამონადენი, ნაჟონი (სითხე, წვეთი)“⁷.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშივე ახსნილია ჟვავ-ი „წვიმის ჩამონაწვეთი ხის ფოთლებზე, – ლეში“ სიტყვის მნიშვნელობაც. ამავე ფუძეს გურულ კილოში „დაცვარული მალალი ბალახის“ შინაარსი აქვს⁸, მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებაში „ცვრის, ნამის“ მნიშვნელობით გვხვდება⁹.

საინტერესოა, რა მიმართება შეიძლება ჰქონდეს ჯვარ-ფუძეს, ერთი მხრივ, ჟვავ-, მეორე მხრივ, – ჟურ- ძირებთან.

სიტყვათა ზემოთ მოყვანილ განმარტებათა გათვალისწინებით, დასაშვებია ვარაუდი მათი საზიარო ძირიდან პარალელურ ფუძეებად ჩამოყალიბებისა. როგორც ჩანს, ჯვარ-ძირის ჰომონიმამ, როგორც ლექსიკოლოგიურმა პროცესმა, უძველეს ქართულშივე¹⁰ იჩინა თავი, ქრისტიანობის დაწინაურების

1 კეკელია 2018, 18.

2 ქეგლ VI, 337.

3 იხ. იქვე.

4 სახლთხუციშვილი 2003, 262.

5 ქდვ – იმერული ლექსიკონი, ნ. შარაშენიძე (corpora.co; 12.11.2023).

6 მენთეშაშვილი 1943, 146.

7 ქეგლ V, 1354.

8 ქეგლ VI, 328.

9 ფუტკარაძე 1993, 545.

10 იგულისხმება სამწერლობოენამდელი პერიოდი.

ხანს უნდა შეზღუდულიყო მისი სხვაგვარი, ჰიდროგრამული მნიშვნელობა. ამას უნდა დართოდა ის ფონეტიკური პროცესები, რამაც მრავალმხრივ შეუცვალა ძირს პირველსახე და ფუძეთა ლექსიკალიზაცია, ასახული ახალ ქართულ სამწერლობო ენასა და კილოებში, გარდაქმნილი ძირეული მორფემების შემდგომი პროცესი უნდა ყოფილიყო.

დეზაფრიკატიზაცია ქართულში არაერთგზის განხორციელებულა; ზოგიერთ კილოში მის ნაკვალევსაც ვხვდებით, გლობალური სახე კი ინგილოურში მიიღო, სადაც მჟღერი ძ და ჯ აფრიკატები ჰომორგანული ზ და ჟ სპირანტებით ჩანაცვლდა (მაგალითად, ძალი > ბალი, ჯავრი > ჟავრ...)¹. ამის გათვალისწინებით, სავსებით დასაშვებად მიმაჩნია ჯჷარ- ძირის ანლაუტშიც ჯჷრ სახის გარდაქმნა (ჯჷარ > *ჟჷარ).

*ჟჷარ- გარდამავალი სახის ძირი არ გვხვდება ქართულში. მისი არსებობა სავარაუდოა იმ სინქრონიულ მონაკვეთში, როდესაც ქართულის გავრცელების მაშინდელი არეალის ერთ ნაწილში ინლაუტში ჟა/უ ბგერათმონაცვლეობას (*ჟჷარ- > ჟურ-) უნდა ეჩინა თავი და ჟურ-ი ფორმა დამკვიდრდა, ხოლო მეორეში აუსლაუტში რაჟ სახის სრული პროგრესული ასიმილაცია (*ჟჷარ > ჟაჟ) უნდა განხორციელებულიყო და ფუძედ ჟაჟ-ი (ჟვაჟ-ი) ჩამოყალიბდა².

„წვეთის“ შინაარსი, ფონეტიკური სახეცვლილების მიუხედავად, მაინც შემორჩენიათ ჟურ- და ჟვაჟ- ფუძეებს, სამწერლობო ქართულის მონაცემთა მიხედვით. სემანტიკური ველის ცვლის თვალსაზრისით, საინტერესოა გურული კილოს ჩვენება, სადაც საგნის ატრიბუტული კოგნიციის წყაროდ იქცა და ცვრიანი მაღალი ბალახის აღმნიშვნელ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა.

არსებულ ფუძეთა სემანტიკური მოცემულობის გათვალისწინებით, ჯჷარ- ძირის შინაარსი უნდა განისაზღვროს წყლის იმ მოცულობის ნაკადის სახეობად, რაც წყაროს ახასიათებს მიწიდან ამოდენისას – უწყვეტი, წვრილად (ვინროდ) მდინე წყალი. მისგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნის ფუძე და ფორმები აღწერილი შინაარსისაა – ჟურ-ავ-ს, ჟურ-ვ-ა. იგი წყალთან დაკავშირებული ისეთივე იდეოგრაფიული ცნება უნდა ყოფილიყო, როგორიცაა, მაგალითად, წვეთი, ყლუპი, ნიაღვარი და სხვ. დიაქრონიული ცვლილებების შედეგად იგი შინაარსობრივად გაუთანაბრდა წვეთს, ნამს, ლეშხს, აისახა ბალახის სისველის ნიშნად (გურულში)³...

კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც ჯჷარ- ფუძე

1 მაგალითად, ჯჷრ ქიზიყურში: ჯონჯოლი > ჟონჯოლი.

2 იმნაიშვილი 1966, 19; ჯორბენაძე 1998, 484; აბაშვილი 2009, 28-30.

3 შდრ. საბა 1949, 449: ჟვაჟი, იგივე ლეშხი „ხეთა ფურცელნი რა წვმას იტვრთავს და შემდგომად წვეთას დაიწყებს“.

4 შდრ. Гониашвили 1937, 114-115.

საზღვრულ კომპონენტად გვხვდება, უნდა მიგვანიშნებდეს მსაზღვრელთან ენდოცენტრულ-ატრიბუტულ შეერთებას: კე-ი-ჭჷარ-ი, მჭად-ი-ჭჷარ-ი, ვაშლ-ი-ჭჷარ-ი, ვაკ-ი(ს)-ჭჷარ-ი, შინაარსობრივად კი ანალოგიურია ტოპონიმებისა: თხილისწყარო (კახეთი), მუხათწყარო (ქართლი), კოდი(ს)წყარო (ქართლი), კლდისწყარო (ქართლი) და სხვ. მართლაც, ამ სივრცეთა სახელდება ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს აღწერას ემყარება და სოფელთა შემოგარენში ნაკადულის სათავე მდებარეობს ან დასახლება სადენი არხის რკალზეა გაშენებული.

დებულებას ჭჷარ- ფუძის ჰიდროგრაფიულ ლექსიკურ ერთეულად გააზრებისა და ტოპონიმებში მის კომპონენტად რეალიზაციის შესახებ თითქოს ემხრობა ერთი გარემოებაც: ი. კეკელიას „ლექსუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიულ ლექსიკონში“ ერთი და იმავე ტყის სინონიმურ სახელწოდებად მოცემულია ტბი(ს)ყელი // ჭვარისყელი¹. ტოპონიმში მსაზღვრელი ფუძეების პარალელურად ხმარება ბუნდოვანი იქნებოდა „ტბისა“ და „ჭვრის (ქრისტიანული საკულტო საგანი)“ შინაარსობრივი გაგების შემთხვევაში, ხოლო ამ უკანასკნელის წყალთან დაკავშირებული იდეოგრაფიული სემა მეტ სიცხადეს სძენს სინონიმს.

ჭჷარ- ჰომონიმური ფუძე ერთ სხვაობით თვისებას იჩენს ბრუნებისას, სათანადო გეოგრაფიულ სახელთა შემთხვევაში ვლინდება: თუ საკულტო საგნის შინაარსის შემცველია, მაშინ იკუმშება: ჭვრის მონასტერი, ლაშარის ჭვრის ყმა და სხვ., ხოლო წყალთან დაკავშირებული იდეოგრაფიული სემანტიკის შემთხვევაში უკუმშველია: ქალაქ ჭვარის მოსახლეობა...

რთულ ფუძეთა შემთხვევაში არაერთგვაროვანი ვითარებაა: განსაზღვრებითი კომპოზიტის საზღვრული წევრ-კომპონენტის პოზიციაში ჰომონიმური წყვილი შეიკუმშება, რაც, სავარაუდოდ, სიტყვის მრავალმარცვლიანობით უნდა იყოს განპირობებული: გარეჯვრის, მჭადიჯვრის, ვაშლიჯვრის, ხეიჯვრის; საზღვრულობისას სხვაობს სემანტიკის გათვალისწინებით – ჰიდროგრაფიული შინაარსის შემცველი უკუმშველია: ჭვარისყელი, საკულტო წარმოშობისა კი – კუმშვადი: ჭვრისხევი.

ჭჷარ- ფუძის ფონეტიკურ სახესხვაობად მიმაჩნია ჭვარ-ფორმაც ანლაუტური თანხმოვნის გამკვეთრების საფუძველზე (ჭ>ჭ), რომელიც გამოიყოფა ჭვარ-ებ-ი ტოპონიმში².

ამავე ძირს უნდამიესადაგებოდეს ჭურ-ეკოლხური (resp. მეგრული) გეოგრაფიული სახელიც, რომელიც, პ. ცხადაიას განმარტებით,

1 კეკელია 2018, 18.

2 ჭვარები (დიდი, პატარა) მღებრიანის თემის შემადგენელი ნასოფლარია (გორის მნცპ.), მდებარეობს თრიალეთის ქედზე (1480 მზდ); ამავე სახელის მატარებელია ლელეც (ჭვარებისწყალი), მდ. თეძმის მარჯვენა შენაკადი, ჩამოედინება დიდი და პატარა ჭვარების მიდამოებში.

ხევის სახელწოდებაა სოფელ ზედა ლეჟაში, ნაყუდუს კალთაზე, საიდანაც ჯურეს წყურგილი ჩაედინება ბირგულამში (ნაკიფუ)¹. იგი ადგილმდებარეობის მითითებას ურთავს განმარტებას: „ჯურე, იგივეა რაც დურე, ე. ი. ხევისებური ჩავარდნილი ადგილი; უფსკრული (ჯ → დ პროცესის საპირისპირო ფონეტიკური პროცესი ჩანს ხუჯონი → ხუდონი). ალ. ქობალია: „დურე – ჩაღრმავებული ადგილი“.

მართალია, მეგრულში ჯ>დ დეზაფრიკატიზაციის არაერთი ნიმუში მოიპოვება, მაგრამ მისი განხორციელება ჯურ-ე ფუძის (> დურე) შემთხვევაში ნაკლებ მოსალოდნელია: გ. როგავას მიხედვით, „მეგრულში ჯ მჟღერი შიშინა აფრიკატი გადადის დბგერაში მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა სიტყვის ძირი შეიცავს რომელსამე ყრუ აფრიკატს – ჩ, ქ, ც, წ-სა ანდა ყხუ წინაენისმიეხ სპიხანგს – ს, შ-ს.“³, მისი აგებულება კი ამ ფონეტიკური კანონის ამოქმედების პირობას არ ქმნის.

კოლხურშიც თუკი დავუშვებდით ანლაუტური კონსონანტის დაყრუებას (resp. გამკვეთრება), მაშინ ქოროხი ჰიდრონიმის ძირის (ქორ- <*ჭჳარ- <*ჭჳარ) განხილვა ურიგო არ იქნებოდა ამ ქრილში⁴, მითუმეტეს, რომ ეს ფუძე გვხვდება როგორც ჭანურში⁵, ისე მეგრულში⁶.

უცნაურია, რომ ძირები ლექსიკურ-სემანტიკური შეზღუდვისკენ მიილტვიან როგორც ქართულში, ისე ჭანურ-მეგრულში; ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ფონეტიკური პროცესების სიუხვე, რაც ასეთი მრავალმხრივი აღმოჩნდა. ამ ძირის შემთხვევაში არც ე. წ. „სიბილანტა“ ბგერათშესატყვისობის კლასიკური ხასიათი ჩანს. რას უნდა გამოენვია ეს ყოველივე?

დიაქრონიულ ცვლილებათა არქაულობას მეტყველებს ერთი და იმავე ძირის მრავალგვარი გარდაქმნა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე. იმის გათვალისწინებით, რომ ორ ენობრივ სისტემაში ერთმა და იმავე ერთეულმა სისუსტე გამოიჩინა, დასაშვებია, რომ საფუძველი პროცესს მათი ერთიანობის ხანს – ფუძე-ენაშივე უნდა გასჩენოდა: ძირის ტრანსფორმაცია, სავარაუდოდ, საერთოქართველურში დაწყებულია.

ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობის წესების მიხედვით, საერთოქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე [*ჯ] აფრიკატი ქართულში /ჯ/, ხოლო ჭანურ-მეგრულში /ძგ|ჯგ/

1 ცხადაია 2015, 319.

2 იბ. იქვე.

3 როგავა 1947, 352.

4 შდრ. თოფურია 1977, 8.

5 ქორ-ობ-ა „მღვრიე წყალი“ (თანდილავა 2013, 865).

6 ქორ-ობ-ი „ადიდებული მდინარის მიერ მოტანილი ქვა-ღორღი“ (ქობალია 2010, 713).

ეკვივალენტს იძლევა; ამის გათვალისწინებით, უნდა გვექონოდა ტოლოფარდობა: ქართ. ჭყარ- : კოლხ. ძგურ-// ჭგურ⁻², მაგრამ მსგავსი ძირი არ იძებნება ამ უკანასკნელში. იდენტური ფონეტიკური პროცესების განხორციელება გვაფიქრებინებს, რომ ცვლილება ფუძე-ენის ქრონოლოგიურ მონაკვეთს ემთხვევა და ძირში თავჩენილი ფონემები (ჟ, ჯ, ჭ) მეორეულია.

საერთოქართველურ ქრონოლოგიურ დონეზე ამ ძირის არსებობას *ღჟარ- სახით ვვარაუდობ. მისი გარდაქმნა თავკიდური [*ღ] ფონემის დეპალატალიზაციას უნდა გამოენვიან, რაც გლობალურად მოქმედი ფონეტიკური პროცესი ჩანს ფუძე-ენაში. ცვლილების ნაკვალევი ქართულშიც შეინიშნება¹, მაგრამ მოშლის პროცესი დასრულებულია და ფონემატურ ინვენტარში ნაკლებად აისახება².

[*ღ] ბგერის დეპალატალიზაცია ორი გზით დასრულდა: არტიკულაციის წინ და უკან გადაწვევით, ხოლო პროცესს საფუძვლად სარეზონანსო არის სრული დავიწროება უნდა დასდებოდა. შუა რიგიდან გადმოსული ბგერა ძირითად თვისებათაგან ინარჩუნებს მჟღერობას, დაბრკოლების ადგილს თავდაპირველად შეუხამებს მახასიათებელი რაგვარობის (ე. ი. ღიაობა) მსგავსს, რის საშუალებასაც მოსაზღვრე საარტიკულაციო ცენტრი აძლევს; ასეთია ნაპრალოვნება როგორც ანტერიორული (უკანა ნუნა), ისე პოსტერიული რიგის (რბილი სასა) შემთხვევაში. მაშასადამე, ღ პალატალი გარდაიქმნებოდა ერთი მხრივ – წინაენისმიერ და მეორე მხრივ – უკანაენისმიერ მჟღერ სპირანტად.

ქართველური საარტიკულაციო ბაზისის გათვალისწინებით, წარმოიშობოდა ჟ ალვეოლარი წინაწარმოების შემთხვევაში, ხოლო ღ ველარი – უკანაწარმოების შემთხვევაში:

ჟ < *ღ > ღ

თუ სახეცვლილი ბგერა ვერ გაიმყარებს ფონეტიკურ პოზიციას, იგი განაგრძობს საწარმოთქმო ორგანოთა შეხების დავიწროებას მჟღერობისა და ნაწილობრივ – ნაპრალოვნების შენარჩუნების კვალად, რის გამოც შესაძლოა განუვითარდეს შერეული რაგვარობა (ხშულ-ნაპრალოვნება).

ქართველური საარტიკულაციო ბაზისის გათვალისწინებით, წარმოიშობოდა ჯ აფრიკატი წინაწარმოების შემთხვევაში, ხოლო ღ სპირანტოიდი – უკანაწარმოების შემთხვევაში:

ჯ < || ჟ < *ღ > ღ || > ღ

1 იხ. ჩიქობავა 2008, 26-29; მაჭავარიანი 1965, 39...; ჩუხუა 2003, 11...

2 თავის მხრივ, აუსლაუტში *რ>ჯად გარდაქმნის (როგავას კანონი) შედეგად ძირი კოლხურში ძგუდ-// ჭგუდ- სახით ჩამოყალიბდებოდა.

3 Гониашвили 1937, 111...

4 ფონოლოგიურად შემორჩენილია დიალექტებში, მაგალითად, ქიზიურში (კოჭლამაზაშვილი 2020, 89-94).

დეპალატალიზაციის ამ ხაზით წარმართვის დაშვება ს.-ქართვ. *ღჷარ- ძირს არაერთ სახეცვლილ ლექსიკურ ძირს მიუსადაგებს ქართულში:

ჟჷაჷ- „ჟვავი“

1. *ღ>*ჟ: *ღჷარ- > *ჟჷარ- ჯჷარ- „[უნყვეტი წვრილად მდინე წყალი]“ || > ჟჷარ-

ჟურ- „ჟური“

ღჷარ- „ნიაღვარი“

2. *ღ>*ღ: *ღჷარ- > *ღჷარ- *ღჷარ- ||> ყჷარ- (?)

ღორ- „ნიაღვარი“

ქართულში ღჷარ- ძირით ინარმოება: ზმნური ფუძე ღვარ- „დაქცევა, დაღვრა“ (ღვრ-ი-ს, და-ე-ღვარ-ა; მასდ. ღვრ-ა), ნაზმნარი ზედსართავი სახელი — და-ღვრ-ილ-ი. იგი გვხვდება გეოგრაფიულ სახელებშიც: ნა-ღვარ-ევ-ი (აჭარა), ღვარ-ებ-ი (ქართლი).

ამ ძირში ინლაუტში ხორციელდება ჯა>ო გარდაქმნა (ღჷარ > ღორ), რაც ასახულია ზოგიერთ ტოპონიმში: ღორისთავი (<ღვარისთავი)¹, ღორნამკალი // ღორინამკალი (<ღვარნამკალი)² და სხვ.

*ღ>*ღ>*ღ სახის ცვლილების განხორციელების დაშვება საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე შესაძლებელი იქნებოდა, მაგრამ [*ღ] სპირანტოიდის ფონოლოგიური პოზიციაც იმდენად სუსტი უნდა ყოფილიყო, რომ რთული წარმოსადგენია, რამდენად გაძლებდა მეორეული ე ბგერის სახით არსებობას, როდესაც თვითონაც დეფონოლოგიზების პროცესში იყო³. შესაძლოა ე>ყ გამკვეთრებას ეჩინა თავი⁴, ისე როგორც ჯ აფრიკატი უნდა გარდასახულიყო (ჯ>ჟ) ჯჷარ- > ჟჷარ- შემთხვევაში⁵.

*ღ>ჟ სახის გარდაქმნას გვიჩვენებს *ღჷარ- ს.-ქართვ. ფორმიდან მომდინარე მეგრული ჟჷარ-ი „ცვრის, ნამის“ აღმნიშვნელი სიტყვა⁶, რომლისგანაც ინარმოება ჟჷარ-უა „ტანში ტეხა, ცვარში დამიზებება, განუნვა“ ზმნისა და მისგან მომდინარე მიმღეობის ჟჷარ-ილ-ი ფორმები.

კოლხურშივე უნდა აისახებოდეს *ღ>ჯ სახის გარდაქმნაც, რასაც ემხრობა მეგრულში შემორჩენილი ჯურ-ე ძირი: ჯურ-ე <*ღურ-ე < *ღჷარ-⁷. ამავე ჯ აფრიკატის ფონეტიკურ სახესხვაობად

1 ახლანდელი სოფ. გუდარეხი (თეთრინყაროს მნცპ.), სახელი შეეცვალა 1947 წელს.
2 მთა შიდა ქართლისა და თორის საზღვარზე (ხაშურის მნცპ.) □1706 მზდ.
3 იგულისხმება ს.-ქართვ. [*ღ] მჟღერი ნაპრალოვან-ხშული ფარინგალი.
4 შდრ. ჩუხუა 2017, 574.
5 თუ *ღ>*ღ>ყ სახის გარდაქმნა დაიშვება, მაშინ ყჷარ- ძირი ღჷარ-ის სემანტიკურ ველებს დაუკავშირდებოდა და ეტიმოლოგიურად ყვარ-ელ-ი გეოგრაფიული სახელშიც შეიძლებოდა მისი გამოყოფა. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.
6 ქობალია 2010, 566.
7 ჭანურ-მეგრულში ინლაუტის პოზიციამი ჯა>უ სახის გარდაქმნის სხვა შემთხვევებიც

მისი აბრუპტივი კორელატი ქ რომ მოვიაზროთ, როგორც ეს ქართულის შემთხვევაში დავუშვით (ჭჷარ- > ჭჷარ-), შესაძლოა აქაც *ღ>ჭ||>ჭ პროცესთან გვექონოდეს საქმე და ამას ასახავდეს კოლხური ჭორ-ოხ-ი ჰიდრონიმის ძირიც: *ღჷარ > *ჭჷარ- *ჭჷარ- > ჭორ-. თუ გავითვალისწინებთ ჭანურის ლექსიკური ფონდის ჩვენებას, ჰიდრონიმის ეტიმოლოგიურ დაკავშირება „მღვრიე წყლის“ სემანტიკურ ველთან თითქოს უფრო ცხადი უნდა იყოს, ვიდრე მეგრულ ჭორ-ოფ-ა „ავდრიანობის“ შინაარსის შემცველ ლექსემასთან¹.

საერთოქართველურ ფუძე-ენაში [*ღ] პალატალის რაგვარობა (ღიაობა), როგორც ჩანს, მხოლოდ დავიწროებისაკენ არ მიისწრაფოდა; ცვლილება საპირისპიროდაც უნდა განვითარებულიყო და სარეზონანსო არის გაფართოების შედეგად მისი ვოკალიზაციაც უნდა მომხდარიყო, რის შედეგადაც, სავარაუდოდ, გაუთანაბრდა წინა რიგის ი ხმოვანს: *ღ>ი.

ვფიქრობ, ამგვარი ცვლილება ს.-ქართვ. *ღჷარ- ძირზეც აისახა, რაც მოგვიანებით ქართულშიც უნდა გამოვლინებულიყო. ამ მხრივ საყურადღებოა იორ-ი ჰიდრონიმის ძირი, რომლის პირველსახეც ფუძეენისეულ ძირს უნდა ემთხვეოდეს: *ღჷარ- > *იჷარ- > იორ-.

იკვთება რამდენიმე გასათვალისწინებელი ფაქტორი, რაც ძირის აღდგენას არ აბრკოლებს საერთოქართველური ფუძე-ენის დონეზე:

ქართველურ ენებში დამოწმებული ფორმები ფონეტიკურ-სემანტიკური სტრუქტურით ახლომდგომია.

ქართველურ ენებში გამოვლინდა დიაქრონიული ფონეტიკური ცვლილებები, პროცესები კი ერთნაირი ხასიათის მატარებელია.

ძირის ლექსიკურ-სემანტიკური ნიველირება საფუძველს ფუძე-ენიდან იღებს, რის გამოც ქართველურ ენათა ლექსიკურ ფონდში ფუძეთქმნადობის სიუხვე შეინიშნება.

ძირი წყალთან დაკავშირებული იდეოგრამა უნდა ყოფილიყო, რაც ასახულია ქართველურ ენათა ონომასტიკაში.

ჭჷარ- ფუძის „უნწყვეტი წვრილად (ვინროდ) მდინე წყლის“ შესაძლო მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებ წარმოდგენილ ვარაუდს მხარს უჭერს ჰიდრონიმთა მონაცემებიც, რაც გამოვლინდა ქართველურ ენებში: ქართულში იორ-ი და ჭანურ-მეგრულში ჭორ-ოხ-ი, რომელთა სახელდებაც სათავის მიდამოებში მკვიდრთა კოგნიციას უნდა ემყარებოდეს – წყარო, ღელე.

ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით ნავარაუდები დებაფრიკატიზაციის პროცესი (ჭ>ჟ) უმართებულოა, პირიქით, მეორეული ჟ სპირანტის აფრიკატიზაციის შემთხვევად (ჟ>ჭ) უნდა

არსებობს, რაც ქართულ-კოლხურ ბგერათმესატყვისობებშიც აისახება: შდრ. ქართ. ცჷარ-ი : კოლხ. ცუნდ-ი, ქართ. კჷართ-ი : კოლხ. კურთ-ა და სხვ.

¹ შდრ. თოფურია 1977, 8.

მოვიაზროთ გეოგრაფიულ სახელებში თავჩენილი ჯვარ- (<*ჟუარ) ფუძე¹.

საყურადღებოა სომხური ჯուჰ (ჯარ-) „წყლის“ აღმნიშვნელი სიტყვის მიმართება ქართველურ ენათა *ჯუარ- (jwar-) ძირიდან მომდინარე ფორმებთან². ფონეტიკურად განსაკუთრებულ სიახლოვეს მეგრული ჯურ-ე (ჯურ-ე) ფორმა იჩენს, სემანტიკურად კი – ჭანური ჭორ-ოხ-ი (ჯორ-ოხ-ი) „მღვრიე წყალი“. დასადგენია მისი წარმომავლობა სომხურში; არაა გამორიცხული, რომ კოლხურიდან შეეთვისებინოს³.

ძირის ლექსიკოლოგიური ხასიათი – რეალიზაციის სიხშირე გეოგრაფიულ სახელებში, გამოკვეთილი ქართველურ ენებში, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ იგი შესაძლოა ამავე ფუნქციით გამოიყენებოდა საერთოქართველურშიც – აწარმოებდა წყალთან დაკავშირებული შინაარსის შემცველ ონომასტიკურ ერთეულებს.

დამონებაანი

აბაშია რევაზ, ბგერათშესატყვისობის ახალგამოვლენილი რიგისათვის ქართველურ ენებში. II, ქართველოლოგიური კრებული, N3, თბილისი, 2004, 3-9.

აბაშვილი ვასილ, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი, 2009.

თანდილავა ალი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013.

თოფურია გურამ, „ჭოროხი“-ს ეტიმოლოგიისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია (თეზისები), თბილისი, 1977.

იმნაიშვილი გრიგოლ, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.

კეკელია იგორ, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ინვერსიული ლექსიკონი, თბილისი, 2018.

კოჭლამაზაშვილი ლევან, აფიქსთა ფონეტიკური სახეცვლილებანი ქიზიყურში, XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2020, 89-95.

მაჭავარიანი გივი, საერთო-ქართველური კონსონანტიზმი, თბილისი, 1965.

1 აქ არ იგულისხმება, რომ [*ჟ] ფონემა საერთოქართველურ ფუძე-ენას არ მოეპოვებოდა (იხ. აბაშია 2004, 3-9); ამ ძირში თავჩენილი ჟ თანხმოვნის შემცველი ფორმებია მეორეული!

2 იხ. Гониашвили 1937, 111-134.

3 ჭანურ-მეგრულია და სომხურის მსგავსი ლექსიკური თანხვედრის სხვა შემთხვევებიც არსებობს, როცა კოლხურიდან შეთვისებული სიტყვა სომხურში ფონეტიკურ-სემანტიკური სტრუქტურით მეგრულს უახლოვდება, უშუალო კონტაქტი კი ჭანურთან უფრო ჰქონდა ისტორიულად; ასეთია, მაგალითად, „ბუზის“ აღმნიშვნელი საზიარო სიტყვა: სომხ. ღაუნა (ჯანჯ) „ბუზი“, მეგრ. ჭანჯ-ი (ჯანჯ-ი) „id“, ჭან. მჭაჯ-ი (მჭაჯ-ი) „id“. საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.



- მენტეშაშვილი სტეფანე, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.
- ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
- როგავა გიორგი, დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის ერთი სახეობა ზანურში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX-XXXIb, თბილისი, 1947, 351-356.
- სახლთხუციშვილი უმანგ, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003.
- ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, თბილისი, 1993.
- ქდგ – ქართული დიალექტური კორპუსი (www.corpora.co).
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბილისი, 1958.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბილისი, 1960.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი, 1964.
- ქობალია ალიო, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
- ჩიქობავა არნოლდ, შრომები, ტ. IV, თბილისი, 2008.
- ჩუხუა მერაბ, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2003.
- ჩუხუა მერაბ, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2017.
- ჯორბენაძე ბესარიონ, ქართული დიალექტოლოგია, ნ. 2, თბილისი, 1998.
- Гониашвили Тинатин, К истории одного звука в грузинском языке, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, II, თბილისი, 1937, 111-134.